## მოთხოვნა წინადადებების წარმოდგენაზე (RFP)
## CAPCA პროექტის ცნობიერების ამაღლების კამპანია

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია აცხადებს წინადადებების მიღებას ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელებაზე.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მომუშავე შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპანიას და /ან კონსულტანტს.

**საქართველოს ფერმერთა ასოციაცია**
თბილისი, ატენის ქ. 16ა
ტელ.: +995 32 2 193 003
ელ.ფოსტა: info@gfa.org.ge

## შესავალი

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) (შემდგომ - ასოციაცია) არასამეწარმეო (არამომგებიანი) იურიდიულ პირია, რომელიც 2012 წლის ბოლოს დაფუძნდა. ასოციაცია ამჟამად 5000-მდე ფერმერსა და აგრობიზნესს აერთიანებს მთელი საქართველოს მასშტაბით. წევრი ფერმერებისგან მინიჭებული მანდატის შესაბამისად, ასოციაცია ასრულებს ფერმერებსა და ხელისუფლებას შორის შუამავალი რგოლის ფუნქციას; ნაყოფიერად თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან; აქტიურად არის ჩართული სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის ფორმირებაში. ასოციაცია არის ევროპის ფერმერთა და კოოპერატივთა გაერთიანების (COPA-COGECA) პრივილეგირებული პარტნიორი, ასევე სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო საბჭოს წევრი (მათ შორის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამოქალაქო კომიტეტი).

შვედეთის მთავრობის დაფინანსებით, ასოციაციამ მიმდინარე წელს გახსნა რეგიონული ოფისები (თელავში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ახალციხეში). რეგიონული ოფისების ქსელი ასოციაციას დაეხმარება კონკრეტულ რეგიონში, ადგილზევე ჰქონდეს უშუალო კონტაქტი ფერმერებთან, პირდაპირი კავშირის წესით მიიღოს ინფორმაცია მათი პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ და გაუწიოს დახმარება: ა) ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან აქტიური მუშაობით; ბ) დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მათი შესაძლებლობების გაძლიერებით.

## გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება (CAPCA) - პროექტის მოკლე აღწერა

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის ფარგლებში (ENPARD IV).

## სამიზნე ჯგუფები

- სურსათის ბიზნესოპერატორები (ფერმერები (მეფუტკრეობისა და მერძევეობის ღირებულებათა ჯაჭვი), მწარმოებლები, მწარმოებელი ორგანიზაციები და კოოპერატივები, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები);
- მომხმარებლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები;
- მომხმარებელთა უფლებების დამცველი ჯგუფები;
- მედია;
- საქართველოს პარლამენტი;
- საქართველოს მთავრობა;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები;
- სურსათის ეროვნული სააგენტო;

- გარემოს ეროვნული სააგენტო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- პროფესიული განათლებისა და გადამზადების დაწესებულებები.

**ამ კამპანიის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ფერმერები და მწარმოებლები.**

## პროექტის მიზნები

- მერძევეობისა და მეფუტკრეობის მიწოდების ჯაჭვის მხარეების (ფერმერები, ძირითადი მწარმოებლები, სურსათის სხვა ბიზნესოპერატორები) პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ცოდნითა და გაძლიერებული შესაძლებლობებით აღჭურვა, რათა გაუმჯობესდეს მათი საქმიანობის შესაბამისობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარულ/ფიტოსანიტარულ ნორმებთან;
- დაინტერესებული მხარეების (საჯარო, საცალო ვაჭრობის, ფერმერების/მწარმოებლების, ლაბორატორიების, მომხმარებლების) გაუმჯობესებული კომუნიკაცია და მონაწილეობა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმის პროცესში;
- მომხმარებლების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და მედიის ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ, უკეთ ინფორმირებული მომხმარებლის და მისი ყიდვის გაცნობიერებული გადაწვეტილების და ხარისხიან პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის ხელშეწყობის მიზნით.

## პროექტის მოსალოდენელი შედეგები

- სამიზნე ჯგუფების (სურსათის ბიზნესოპერატორების) გაუმჯობესებული შესაბამისობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების მოთხოვნებთან;
- მთავრობის გაუმჯობესებული ანგარიშვალდებულება დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და ჩართულობის შედეგად (სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების იმპლემენტაციის პროცესში);
- გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და ჩართულობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებთან მიმართებაში.

## პროექტის გავლენა

პროექტი ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, სურსათის უვნებლობის სტანდარტებისა და მომხმარებელთა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების გზით და ასევე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის გაზრდით.

## შესასრულებელი აქტივობები

<u>დავალება 1: რილსის ფორმატის მოკლე, 1-წუთიანი, ვიდეოები (5 ვიდეო):</u>

1. რას განსაზღვრავს DCFTA და რატომ არის მასთან დაახლოება მნიშვნელოვანი საქართველოსთვის? აქცენტი ევროკავშირთან ვაჭრობაზე.
2. სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა, მცენარეთა დაცვა, პესტიციდებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება
3. ცხოველის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
4. მიკვლევადობა და Geo.G.A.P.
5. თაფლის ტექნიკური რეგლამენტი.

თითოეულ თემაზე ჩასაწერი რესპონდენტები შეირჩევიან GFA პროექტის გუნდთან ერთად. **აქტივობის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 31 ოქტომბრისა.**

<u>დავალება 2: ქარდები</u> - მარტივად აღსაქმელი, მიმზიდველი ვიზუალის პოსტერები 2-3 აბზაციანი აღწერით. (10 ქარდი)

1. საქართველო VS EU

   ევროკავშირის დირექტივისა და საქართველოს მოთხოვნების შედარება თაფლის წარმოებასა და რძის გადამუშავებაზე
2. Geo.G.A.P. - რას გულისხმობს?
3. მიკვლევადობის პლატფორმა - პროექტის ფარგლებში შეიქმნილი მიკვლევადობის პლატფორმის შესახებ საინფორმაციო ქარდი
4. Geo.G.A.P.-ის დანერგვის ნაბიჯები - რა ეტაპებს მოიცავს საწარმოში გეო გაპის სტანდარტის დანერგვა.
5. უვნებელი პროდუქტის მნიშვნელობა მწარმოებლისთვის და მომხმარებლისთვის - გვინდა რომ ორმხრივობა წარმოჩინდეს.
6. SDGs - ფერმერები და მათი მდგრადი საქმიანობა გარემოს დაცვის მიმართულებით.
7. ბისკის კვლევის შედეგების ქარდი - 2-3 ცალი.

   **აქტივობის განხორციელების ვადა: 2025 წლის 01 ივლისი - 31 აგვისტო.**

## დავალება 3: წარმატების ისტორიების მომზადება 4 ბენეფიციარ ფერმერზე.

წარმატების ისტორიები უნდა მომზადდეს როგორც წერილობით, ასევე ფოტო/ვიდეო სახით (თითოეულ ბენეფიციარზე 4 ფოტო და 4 ვიდეორგოლის მომზადება).

სამიზნე რეგიონები: რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, იმერეთი, გურია, კახეთი.

**აქტივობის განხორციელების ვადა: არაუგვიანეს 2025 წლის 31 ოქტომბრისა.**

---

## წინადადებების წარმოდგენა.

წინადადებების წარმოდგენა უნდა მოხდეს დანართი N1 და დანართი N2 შესაბამისად. ასევე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ეწ. Track Record/პორტფოლიო.

მოთხოვნილი დოკუმენტაციის პაკეტი უნდა გამოგზავნონ არაუგვიანეს მიმდინარე წლის **30 ივნისის 18:00 საათისა** ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: **procurement@gfa.org.ge**